საერთაშორისო შეხვედრა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 30 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “პოლონია” (ქ. ბიტომი, პოლონეთი) – 6:2 (2:0).

“პოლონია”: სკრომნი; დიმარჩიკი, ოლინიჩაკი, ტირონი; ნორლოხი, ვეროჩეკი; სონშდეკი, ტრამპიში, ვიდავსკი, ლიბერდა, კრასუცკი.

“დინამო”: კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ღოღობერიძე; დალაქიანი, ბარქაია (გაგნიძე), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: ვ ფრიდმანი (ტალინი).

დინამოელებმა თამაში მეტისმეტი სიფრთხილით დაიწყეს, რაც კარგად გამოიყენეს პოლონელებმა და კოტრიკაძეს ორჯერ მოუხდა მეტად ძნელი ბურთების აღება ვოდავსკისა და ტრამპიშისაგან. მაგრამ შემდგომში თანდათან ცხადი გახდა, რომ თბილისელთა გუნდი გაცილებით ძლიერია, ვიდრე “პოლონია”.

მე–12 წუთზე მესხმა გადაინაცვლა ცენტრში და გახსნა ანგარიში – 1:0. ხოლო 31–ე წუთზე მანვე შეძლო 4 მოწინააღმდეგე მცველის მოტყუება და მისი გადაცემიდან ბარქაიამ მეორე გოლი გაიტანა – 2:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა სწრაფად გაზარდეს ანგარიში 4–მდე (ბურთები გაიტანეს ბარქაიამ და იამანიძემ), მაგრამ საკმარისი იყო მათ შეენელებინათ იერიშები, პოლონელებმა ზედიზედ გაქვითეს 2 ბურთი.

მატჩის დასასრულს თბილისელებმა დაიბრუნეს ინიციატივა და თამაშმა ისევ “პოლონიას” კართან გადაინაცვლა. მელაშვილი ორჯერ გავიდა კარგ პოზიციაში და ორჯერვე ზუსტი დარტყმით დაამთავრა პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაციები.

მატჩი მოიგო თბილისის “დინამომ” ანგარიშით 6:2.

1 ივლისი, 1958 წ.